

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**კონკურსი საიას თბილისის ოფისის  
იურიდიული დახმარების ცენტრში  
თანაშემწეთა/სტაჟიორთა მიღების შესახებ**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრი აცხადებს კონკურსს ადვოკატ-კონსულტანტის თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად საზოგადოებრივ სანციებზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს: იურიდიული ფაკულტეტის (საერთაშორისო სამართლის) ბაკალავრიატის მე-3 და ზედა კურსის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს. კონკურსში მონაწილეებს მოეთხოვებათ ასევე კომპიუტერული

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პროგრამების (საოფისე პროგრამები) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

კონკურსში მონაწილე პირმა ელექტრონულ მეილზე - **trainee@gyla.ge** უნდა გამოაგზავნოს:

- ელექტრონულად შევსებული განაცხადის ფორმა (იხ. მიბმული დოკუმენტი);  
• შერისტის დიპლომის ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკანირებული).

ან ორივე დოკუმენტი მატერიალური ფორმით წარმოადგინოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

იურიდიულ დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს როგორც წესი 8 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.

თანაშემწეებს/სტაჟიორებს ევალებათ:

იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა- პასუხების ელექტრონულ პროგრამაში დაფიქსირება;

სტრჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება;

• საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;

• ბუკლეტებისა და ლიფლეტების შედგენისას იურისტების დახმარება;

• იურიდიული დახმარების თანამშრომლებისათვის ტექნიკური დახმარების განწევა და სხვა მოვალეობათა შესრულება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

საბუთების მიღება ზემოაღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე და საიას ოფისში ინარმოებს 2014 წლის 08 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით (განაცხადების წარმოდგენა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, შესაძლებელი იქნება 26 სექტემბრის 18:00 სთ-მდე). დაგვიანებით გამოგზავნილი ან წარმოდგენილი განაცხადები არ მიიღება.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**კონკურსის პირველი ეტაპზე (წერიტი გამოცდა)** - დაშვებული იქნება ყველა კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოაგზავნის/წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს. წერიტი გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს დაევალებათ კაზუსების ამოხსნა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლიდან, განაცხადში მათ მიერ მითითებული სფეროს მიხედვით.

**კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება)** - დაშვებული იქნებიან ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გადალახავენ პირველ ეტაპს.

წერიტი გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებ გვერდზე, გამოცდის თარიღამდე მინიმუმ 5 დღით ადრე. დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - შორენა ლოლაძე.

მისამართი: თბილისი, ჭანსუდ ვახიძის ქ. #15

ტელ: 2-99 50 76; 2-93 61 01